



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

15465-01-2-202205201723



ს ა გ ა რ ე ო ს ა ქ მ ე თ ა ს ა მ ი ნ ის ტ რ ო

№ 01/15465

20/05/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ გიორგი ვაშაძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი, 2022 წლის 13 მაისის №4237/3-30/22 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან სახმელეთო საზღვრის გახსნასთან დაკავშირებულ საკითხზე.

გაცნობებთ, რომ 2020 წლის 20 თებერვალს აზერბაიჯანში დაფიქსირდა COVID-19 ინფექციის პირველი შემთხვევა. პრევენციის მიზნით, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, მეზობელ სახელმწიფოებთან სახმელეთო საზღვრების ჩაკეტვის შესახებ. 2020 წლის 29 თებერვალს დაიკეტა აზერბაიჯან-ირანის სახმელეთო საზღვარი. 14 მარტიდან შეჩერდა მგზავრთა მიმოსვლა საქართველო-აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვარზე, ხოლო 18 მარტიდან შეიზღუდა მოქალაქეთა გადაადგილება აზერბაიჯან-რუსეთის საზღვარზე (შეზღუდვები არ შეეხო სატვირთო გადაზიდვებს). 2020 წლის 19 მარტიდან, აზერბაიჯანის რკინიგზამ შეაჩერა საერთაშორისო სამგზავრო მიმოსვლები, ხოლო 24 მარტიდან შეჩერდა საჰაერო ფრენები შიდა და საერთაშორისო რეისებზე (ჩარტერული და სპეციალური რეისების გარდა).

2020 წლის 23 მარტიდან, აზერბაიჯანში გამოცხადდა საგანგებო საკარანტინო რეჟიმი, რომელიც შემდგომში რამდენჯერმე გახანგრძლივდა და ამ ეტაპზე, ოპერატიული შტაბის გადაწყვეტილებით, მოქმედებს 2022 წლის 1 ივლისამდე.

2021 წლის განმავლობაში, აზერბაიჯანმა ეტაპობრივად განაახლა საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლა. საქართველოს საელჩოს ძალისხმევის შედეგად, 2021 წლის 19 მარტიდან აღდგა ფრენები ბაქო-თბილისის მიმართულებით, ხოლო 2022 წლის 1 ივნისიდან განაახლდება ფრენები ბაქო-ბათუმის მიმართულებით. საქართველოდან აზერბაიჯანში საჰაერო გზით მგზავრობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც გააჩნიათ COVID პასპორტი ან გამოჯანმრთელების ცნობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სახმელეთო საზღვრის გახსნის საკითხი არაერთხელ გამხდარა განხილვის საგანი მხარეებს შორის ორმხრივი ოფიციალური თუ სამუშაო შეხვედრების დროს.

გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, საქართველოს საელჩო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში აქტიურად არის ჩართული აღნიშნული საკითხის მოგვარების პროცესში. კერძოდ:

- 2020 წლის 11 სექტემბერს გაიმართა საელჩოს წარმომადგენლების შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან შახინ მუსტაფაევთან. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე დროებით მყოფ ასევე მესამე ქვეყნიებიდან მოქალაქეთა სამშობლოში ორგანიზებულად და უსაფრთხოდ დაბრუნების პროცესთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.
- 2021 წლის 5 თებერვალს გაიმართა შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თავმჯდომარესთან სახიბა გაფაროვასთან. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს თანამშრომლობა კორონავირუსის (COVID-19) გლობალურ პანდემიასთან ბრძოლის პროცესში.
- 2022 წლის 17 თებერვალს გაიმართა საელჩოს წარმომადგენელთა შეხვედრა პრემიერ-მინისტრის მრჩეველთან, საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელთან ზაქირ ფაშაევთან. შეხვედრაზე განიხილეს პოსტპანდემიურ პერიოდში მოქალაქეთა გადაადგილების შემსუბუქების საკითხი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ მგზავრთა თავისუფალი გადაადგილებისთვის, აზერბაიჯანის მხრიდან, კვლავ დაკეტილია სახმელეთო საზღვარი ყველა მოსაზღვრე ქვეყანასთან - საქართველო, ირანი და რუსეთის ფედერაცია. ამ ეტაპზე, ქვეყნის ხელმძღვანელობას არ მიუღია გადაწყვეტილება სახმელეთო საზღვრების გახსნის შესახებ.

პანდემიის გამო შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, საელჩო სისტემატურად აწარმოებს კომუნიკაციას აკრედიტაციის ქვეყანაში - ოპერატიული შტაბის უფროსის მოადგილესთან და შტაბის კოორდინატორთან, ვიცე-პრემიერ შაჰინ მუსტაფაევთან. საელჩოს თანამშრომლები მუდმივ კონტაქტზე იმყოფებიან აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა, საბაჟო, სასაზღვრო და საემიგრაციო უწყებათა პასუხისმგებელ პირებთან.

საგარეო საქმეთა სამინისტრო და აზერბაიჯანში საქართველოს საელჩო აქტიურად აგრძელებს მუშაობას აზერბაიჯანულ მხარესთან დაწესებული შეზღუდვების შესაძლო შემსუბუქების თაობაზე. თუმცა, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული რეგულაციები, რომლებიც ამ დრომდე ძალაში რჩება.

აქტიური კომუნიკაციით, აზერბაიჯანის მხარემ დაწესებული რეგულაციები უკვე მოხსნა საქართველოდან საჰაერო გზით მიმავალ მგზავრებზე. რაც შეეხება სახმელეთო გზით მიმავალ მგზავრებს, მიმდინარეობს მუშაობა, რომ აღნიშნული რეგულაციები მათთვისაც შემსუბუქდეს.

გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს განსაკუთრებულ შემთხვევებთან (იგივე მძიმე ავადმყოფობა და ა.შ.), საელჩო ყოველთვის შუამდგომლობს ჩვენს თანამემამულეებს აზერბაიჯანის შესაბამის კომპეტენტურ უწყებებთან და აზერბაიჯანი, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი ქვეყანა, გაგებით ეკიდება მსგავს ფაქტებს.

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას, კვლავ შედგა საელჩოს კონსულტაციები აზერბაიჯანის მთავრობასთან. მოლაპარაკებების შედეგად, აზერბაიჯანულმა მხარემ უკვე შემოიღო მიმოსვლის იგივე რეჟიმი „ბელაქანი-ლაგოდების“ სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე, რაც მოქმედებს „წითელი ხიდის“ მიმართულეებით.

პატივისცემით,
ლაშა დარსალია



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი - მ.შ.